

ნუგზარ პაპუაშვილი

მონოგრაფია საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ და საკვლესიო ურთიერთობათა ისტორიაზე

PHILIPP AMMON, *Georgien zwischen Eigenstaatlichkeit und russischer Okkupation. Die Wurzeln des Konfliktes vom 18. Jh. bis 1924*, Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 2020, 238 გვერდი, ISBN 978-3-902878-45-8.

საქართველოსა და რუსეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს არაერთი ქართველი თუ უცხოელი სწავლული შეხება. ასე რომ, ამ დარგის ბევრი თემა და საკითხი საფუძვლიანად არის შესწავლილი და გამოკვლეული როგორც ქართულ და რუსულ, ისე სხვა ენებზე. ამის მიუხედავად ევროპულ ენებზე არ მოგვეპოვება ისეთი ნაშრომი, რომელიც აღნიშნულ ურთიერთობათა ისტორიას შეჯამებულად წარმოადგენს. ამ დანაკლისის შევსებას ისახავს მიზნად გერმანულ ენაზე შექმნილი მონოგრაფია, რომლის ავტორი გახლავთ ბერლინელი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი — ფილიპ ამონი. ცნობილია (და ამ ნაშრომიდანაც ჩანს), რომ ის შესანიშნავად ფლობს რუსულ და ქართულ ენებს, რაც მას საკვლევე მასალის უშუალოდ გაცნობისა და დამუშავების შესაძლებლობას აძლევს.

განსახილველ გამოცემას, რომლის სატიტულო სათაური ქართულად ასე ითარგმნება: „საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და რუსულ ოკუპაციას შორის. ქართულ-რუსული კონფლიქტის ფესვები მე-18 საუკუნიდან პირველი ქართული რესპუბლიკის დასასრულამდე (1921)“, ახლავს მინაწერი: *Dem Freund Kacha Kazitadse gewidmet*, რაც ნიშნავს: ავტორი ამ ნაშრომს მეგობრის — პროფესორ კახა კაციტაძის (1959-2012), ქართველი ფილოსოფოსისა და სამხედრო ექსპერტის — ხსოვნას უძღვნის. ჩვენ ხელთაა ამ ნაშრომის მეორე გამოცემა (პირველად 2015 წელს გამოიცა). ორივე გარემოება (მიძღვნა და მეორედ გამოცემა) მიგვანიშნებს, რომ ავტორი გულში იმ ქვეყნის მიმართ, რომლის წარსულსა და პოლიტიკურ ბედს მისი მონოგრაფიის თემა უკავშირდება, განსაკუთრებულ ინტერესსა და პატივისცემას ატარებს.

ეს ფაქტი კიდევ უფრო ავალდებულებს წინამდებარე სტრიქონების ავტორს, როგორც აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეს, რომ ამ ნაშრომის განხილვისა და შეფასების დროს მეტი პასუხისმგებლობა და ობიექტურობა გამოიჩინოს.

გამოკვლევა მოიცავს ათ თავს პარაგრაფებითურთ, დასკვნით ნაწილსა და ბიბლიოგრაფიას (მე-9 და მე-10 თავი). ავტორის ტექსტს მოსდევს Uwe Halbach-ის თანმხლები წერილი (Nachwort), რომელშიც მოცემულია ნაშრომის მოკლე, მაგრამ საგნობრივი და საფუძვლიანი ანალიზი. თავად ნაშრომის აღნაგობა ზოგადად ასე წარმოგვიდგება: 1. შესავალი, რომელშიც განმარტებულია სხვადასხვა თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტი, 2. საქართველოს ისტორიის საკვლევი მონაკვეთის წინაისტორია („Das christliche Georgien und das Dritte Rom [ქრისტიანული საქართველო და მესამე რომი]“) და 3. ისტორიის ამ მონაკვეთის ქართულ-რუსული პოლიტიკურ-სამხედრო და კულტურულ-რელიგიური ხასიათის კონფლიქტების აღნუსხვა და ანალიზი. შესავალი და წინაისტორია მკითხველებს ეხმარება, რომ გამოკვლევაში მოცემული ფაქტები, საკითხები და პრობლემები უკეთესად აღიქვან და გაიაზრონ.

ვხედავთ, რომ მიზნის — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიაში არსებული კონფლიქტური შემთხვევების კონსტატირებისა და მათი სიღრმისეული განხილვის — მისაღწევად ავტორს დიდი და მრავალმხრივი კვლევითი სამუშაო ჩაუტარებია: თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტური და წარატიული წყარო შეუკრებია და დაუმუშავებია; გაცნობია სხვადასხვა ენაზე შექმნილ დიდძალ სპეციალურ ლიტერატურას; კვლევის მეთოდად მოუმარჯვებია ანალიტიკა და კრიტიკა.

მკვლევარს გააზრებული აქვს, რომ აღნიშნულ კონფლიქტებს საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს. მან იცის, რომ ეს ისტორია არის ხანგრძლივი და დღემდე დაუსრულებელი, შედეგი კი კატასტროფული — რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის „ხუთდღიანი ომი“, რომელსაც ორი ქართული ადმინისტრაციული ერთეულის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ოკუპაცია მოჰყვა. ავტორი ამჩნევს და მკითხველიც ხედავს, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორია ამბივალენტური ხასიათისაა: კონფლიქტების გარდა ის არა ერთსა და ორ ისეთ საამო ეპიზოდს მოიცავს, რომელიც ორივე მხარეს სარგებელს სძენს. რადგან ეს ნამდვილად ასეა, მეტი სიმწვავეთ წამოიჭრება კითხვათა მთელი სერია ამ ცხარე და ზოგჯერ საშინელი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესახებ. ასეთ კითხვებს, ცხადია, ჩვენი მკვლევარიც სვამს და ხშირად ისეთ პასუხებსა და განმარტებებს გვთავაზობს, რომლებსაც არა მხოლოდ ვინრო სამეცნიერო — არა მხოლოდ ქართველოლოგიური — მნიშვნელობა აქვს, არამედ ისინი ფასეულია ზოგადად პოლიტოლოგიისა და

კონფლიქტოლოგიისთვისაც. ეს არაა გასაკვირი, რადგან ერებსა და ქვეყნებს შორის აღმოცენებული კონფლიქტები შესაბამის ინტერნაციონალურ ურთიერთობებს ეფუძნება და ბუნებრივია, რომ ჩვენი ავტორიც რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი მონათხრობის მეშვეობით გერმანულენოვან პუბლიკას ეძლევა შესაძლებლობა, ამ ისტორიის არსებითი და მნიშვნელოვანი კონტურები დაინახონ და გაითვალისწინონ.

ნაშრომში წარმოდგენილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორია შემდეგნაირად შეჯამდება: კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წლიდან) საქართველოს ქრისტიანული სამეფო იზოლაციაში აღმოჩნდა. ეს ნიშნავს: ამ სამეფოს კავშირურთიერთობა სხვა თანამორწმუნე ხალხებთან შეიზღუდა და ის ისლამური სახელმწიფოების გარემოცვაში მოექცა. პარალელურად საქართველოს ერთიანი სამეფოს დანაწევრების პროცესიც დაიწყო და ეს მაშინ, როდესაც ირანმა და ოსმალეთმა ამ ქვეყნის მიმართ დამპყრობლური გეგმები გააფართოვეს. ამის გამო ქართველი მეფეები და მთავრები იძულებული გახდნენ, პოლიტიკური მოკავშირე და სამხედრო დახმარება ქრისტიანულ სამყაროში მოეძებნათ. ვინაიდან დასავლეთ ევროპისაკენ მიმავალი გზები ამ დროს ოსმალთა სახანოს უკვე ჩაეხერგა, ქართველმა მეფეებმა, მთავრებმა და ეპისკოპოსებმა პოლიტიკურ-რელიგიური და კულტურული ვექტორი მეტწილად ჩრდილოეთისაკენ, ცარისტული რუსეთისაკენ ანუ „მესამე რომისაკენ“ წარმართეს. ამ ნაბიჯით მათ „განათლებულ ევროპასთან“ დაახლოება ეწადათ. ავტორი საფუძვლიანად შენიშნავს, რომ ქართველი მორწმუნეები, ისე როგორც „ოსმალებისაგან დაპყრობილი სხვა ერები“, იმედის თვალს მათი სახელმწიფოებრივი და სულიერი გადარჩენის თაობაზე „თეთრი ჩრდილოეთის დიდ რუსეთს“ მიაპყრობდნენ. „გამომხსნელი ღმერთის მიმართ საერთო სარწმუნოება ქართველებისათვის საკმარისად დამარწმუნებელი აღმოჩნდა, რომ თავიანთი ბედი რუსეთის მკლავებისათვის ჩაებარებინათ“ (გვ. 40-41). ამ რწმენითა და იმედით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები 1484 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა პირველად დაამყარა მფარველობითი კავშირი ქრისტიანულ ჩრდილოეთთან.

ასე დაიწყო რუსულ-ქართული დიპლომატიური კონტაქტების სამას წელზე მეტი ხნის ისტორია, რასაც ფილიპ ამონი დაწვრილებით და საქმის ცოდნით აღწერს. მისი ტექსტის მეშვეობით მკითხველებს ამ ისტორიის საკვანძო ეპიზოდების გაცნობის შესაძლებლობა გვეძლევა. ვხედავთ, რომ რუსეთის მხრიდან არაერთი დაპირება ისმოდა. ზოგჯერ მისი საჯარისო კონტინგენტის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი, რათა დახმარება ქმედითი და რეალური ყოფილიყო. თუმცა ფაქტია, რომ ქარ-

თული სამეფოები და სამთავროები სხვადასხვა მიზეზისა თუ საბაზის გამო მრავალი მტრის წინაშე მარტონი რჩებოდნენ. ამის მიუხედავად ქართველი მეფეები და მთავრები რუსეთთან მფარველობით კავშირს კვლავ და კვლავ ესწრაფვოდნენ. ასეთი სწრაფვის შედეგია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი მეფე ერეკლე მეორისა და იმპერატრიცა ეკატერინე დიდის ხელმოწერით, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოზე რუსეთის პროტექტორატი გამოაცხადა. ჩვენი მკვლევარი ამ დოკუმენტს დეტალურად აღწერს და აღნიშნავს, რომ ქართული მხარე მის მიმართ დიდ იმედს ამყარებდა (გვ. 48-51). მკითხველისათვის ამასთანავე ცხადია, რომ ეს იმედი არ გამართლდა. ამის მიზეზს მკვლევარი ასე განმარტავს: იმ დროს რუსეთი სამი მიმართულებით აწარმოებდა ომს: შვედების, თურქებისა და პოლონელების წინააღმდეგ, რის გამოც მას „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება“ ნაკლებად შეეძლო (გვ. 51). და მართლაც: 1795 წელს მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება რუსებისაგან ბედის ანაბარად მიტოვებულ ქართველებსა და სპარსელებს შორის — კრწანისის ომი, რომელიც საქართველოსათვის კატასტროფული შედეგებით, კერძოდ კი თბილისის მიწასთან გასწორებით დამთავრდა. ამ მოვლენის აღწერას მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა (III, 5: Die Katastrophe von 1795). იქ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ის კომენტარი იქცევს, რომელიც დამაფიქრებელი უნდა იყოს როგორც საერთაშორისო, ისე (და, რა თქმა უნდა, მეტადრე) ქართველი მკითხველისათვის: „1795 წელს აღმოსავლეთ საქართველოზე დატეხილმა კატასტროფამ განაპირობა ქართველების შეგნებაში სტიერეოტიპის დამკვიდრება; რუსეთის მიერ გეორგიევსკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოკვება წარმოადგენა რუსების არასაიმედოობასა და სულაც მოლაღატეობაზე. (...) ამ ორი ერის ურთიერთობაში დღემდე საგრძნობ ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას წარმოადგენს ქართველების რწმენა-წარმოდგენა [რუსების] მოლაღატეობაზე. მაგრამ არის კი ასეთი საყვედური მართლზომიერი? გვმართებს ვალიაროთ, რომ ლაღატის კატეგორია უცხოა იმპერიული ელიტის პოლიტიკურ სიტყვათხმარებაში, მის რიტორიკულად გამოყენების გარდა. (...). 1795 წლის კატასტროფა, რუსულ ლაღატთან ერთად, სხვა მიზეზმაც განაპირობა. ესაა ქართული გულგრილობა საკუთარი ქვეყნის ბედის მიმართ (...)“ (გვ. 53-54). წყაროდ დასახელებულია დევიდ ლანგისა და არტურ ლაისტის თხზულებები, რომელთა თანახმად ომს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აარიდა თავი. უფლისწულებიდან, მაგალითად, მთავარსარდალს მხოლოდ ვახტანგი გაჰყვა, მაგრამ რა? მისმა მეომრებმა სიღნაღში უარი თქვეს ბრძოლაზე და უკან იმ მოტივით გაბრუნდნენ, რომ შემოდგომის მოსავალი აუღლებელი დარჩებოდა და გაფუჭდებოდა.

მონოგრაფიაში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს შემდგომ-დროინდელი ამბები, კერძოდ ის, თუ როგორ გახდა იძულებული ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII, რომ სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილი რუსეთისათვის ნებაყოფლობით დაეთმო სამეფო ტახტის ხელშეუხებლობის პირობით და იმედით; თუ როგორ არ შეასრულა რუსეთმა ეს პირობა და, აღნიშნული ტახტის დაქვრივების შემდეგ, თუ როგორ მოახდინა მან ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი (1810 წლიდან) დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ინკორპორაცია და მათ ტერიტორიებზე საიმპერიო რეჟიმის დამყარება, რასაც ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა. დიდი ინტერესით იკითხება ის მონაკვეთები, რომლებიც საეკლესიო ისტორიის დრამატულ ეპიზოდებს ეხება. ესაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის ძალადობრივი გაუქმება, სინოდალური მმართველობის შემოღება ეგზარქატის სახით და ადგილობრივი საეკლესიო ტრადიციების რუსული საეკლესიო ტრადიციებით ჩანაცვლება (რუსიფიკაცია), რასაც სარწმუნოების თვალსაზრისით მძიმე შედეგები მოჰყვა: მოსახლეობის თვალში ეკლესიის ავტორიტეტი დაეცა. ასე რომ, ქართული სამოქალაქო და საეკლესიო საზოგადოებები რუსულმა კოლონიალიზმმა თანაბრად დააზარალა, რამაც პროტესტი როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებში გამოიწვია; გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანმხლები დრამატული და, ზოგჯერ, ტრაგიკული მოვლენებით.

ნაშრომში ცალ-ცალკე პარაგრაფები ეძღვნება საქართველოს ახალი ისტორიის ისეთ საკვანძო ეპიზოდებს, როგორცაა: ბაგრატიონთა ტახტების გაუქმება, იმერეთის საეკლესიო აჯანყება („Imeretien: Aufstand für Tradition und Kirche“), 1832 წლის შეთქმულება, ბატონყმობის გაუქმება, პანსლავური რეპრესიები, სამოციანელები და ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისა და წართმეული ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის, 1905 და 1917 წლების რევოლუციები საქართველოში, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება და დაკარგვა, ავტოკეფალიის გამოცხადება და ბრძოლა მისი რატიფიკაციისათვის, მეორედ ოკუპაცია და გასაბჭოება, რასაც დაერთო დევნილება და რეპრესიები ეროვნულ-პოლიტიკურ და რელიგიურ საფუძველზე. ეს საკითხები განხილულია საგნობრივად და ვრცლად, რაზეც შესაბამისი ტექსტის მოცულობაც მიგვანიშნებს — 55-იდან 211 გვერდამდე.

საყურადღებოა Philipp Ammon-ისა და მისი შემფასებლის, Uwe Halbach-ის, ანალიზი (გვ. 216-220, 235-238), რომლის თანახმად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია ამბივალენტურია. ანექსიასა და კოლონიალიზმს, რასაც რუსეთი საქართველოში ახორციელებდა, ცხადია, ისინიც გობენ, მაგრამ აღიარებენ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას პოზიტიური

შედეგები მოჰყვა. ფილიპ ამონის თქმით, „რუსეთის დამსახურებანი საქართველოს წინაშე მეტწილად უკვე აღიარებულია. პოლიტიკურ მოგებად მიიჩნევა ის ფაქტიც, რომ საქართველოს გაერთიანება სწორედ რუსული ანექსიის მეშვეობით მოხერხდა. მხოლოდ რუსეთის სამეფო სკიპტრის ქვეშ გახდა შესაძლებელი საქართველოს ძველი ერთიანობის თითქმის მთლიანად აღდგენა“. ამასთანავე აღნიშნულია, რომ, ამის მიუხედავად, საქართველოს „შვილები“ (ურაპატრიოტები? ნ. პ.) წინააღმდეგი არიან რუსეთთან შეხმატკბილებული ელიტისა („in Gegensatz zu den angepassten oder russifizierten Eliten“) და „რუსეთუმედ“ მოიხსენებენ მას (გვ. 216).

აქვე დავძენთ, რომ წინამდებარე სტრიქონების ავტორსაც ჰქონდა შემთხვევა, საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი შეეფასებინა და ასეთი თვალსაზრისი ჩამოეყალიბებინა: „ამ [იმპერიული] რეჟიმის პირობებში (ცხადია, ამავე რეჟიმის იმპერიული ინტერესების შესაბამისად) მოხერხდა თურქეთისაგან დაპყრობილი პროვინციების (...) საქართველოსათვის დაბრუნება, საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონების ერთ კულტურულ-ეროვნულ სივრცეში გაერთიანება და ამ რეგლამენტში ერთიანი საქართველოს საზღვრების აღდგენა. არანაკლები მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს კულტურული დიალოგი ევროპასთან, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოში მაღალ საფეხურზე ავიდა. ამასთანავე: გაღრმავდა საქართველოს კონტაქტები გერმანიასა და გერმანელ ხალხთან“ (ნუგზარ პაპუაშვილი, *ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში: წინაისტორია და ისტორია*, თბილისი, 2018, გვ. 87-88; Nugzar Papuashvili, *Aus der Geschichte der evangelisch-lutherischen Kirche in Georgien: Vorgeschichte und Geschichte*, Tbilissi 2018, S. 106). გვმართებს, ეს თვალსაზრისი ამჯერად შემდეგი ფაქტის კონსტატაციითაც შევავსოთ: ამავე რეჟიმის პირობებში არა მხოლოდ ქართული სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანება მოხერხდა, არამედ — ორი ქართულ-ავტოკეფალური ეკლესიისაც ერთი ეგზარქატის ქვეშ. შემდეგ კი, როდესაც შესაბამისი დრო დადგა და სათანადო პირობები შეიქმნა, რუსულ სინოდალურ მმართველობას „სრულიად საქართველოს ეკლესია“ ჩამოშორდა. აქვე დავძენთ: შესაძლებელია, რომ ამ რეალობის აღიარებამ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა შეძლოს.

წინამდებარე მიმოხილვაში ყურადღებას მეტწილად, ჩვენი სპეციალობიდან გამომდინარე, საეკლესიო თემატიკაზე გავამახვილებთ და თავს უფლებას მივცემთ, ეს რეცენზია რამდენიმე მოკრძალებული, მაგრამ კრიტიკული შენიშვნითაც შევავსოთ. ერთ-ერთი მთავარი და ზოგადი შენიშვნა შეეხება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობის საკითხს. ნაშრომს

მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფია ახლავს, თუმცა მასში ქართული აკადემიური გამოცემების ნაკლებობა იგრძნობა. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ზოგჯერ ძველ გამოცემებსა და აღწერილობებს დიდ ნდობას უცხადებს და განსახილველ ნაშრომში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული კვლევა-ძიების უახლესი შედეგები.

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო-კულტურული და საეკლესიო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიის აღწერისას მკვლევარი ძირითადად ძველი ეპოქის ორ ცნობილ ავტორს — ეპისკოპოს (შემდეგში კათალიკოს-პატრიარქ) კირიონ საძაგლიშვილსა და ნიკოლოზ დურნოვოს (Николай Николаевич Дурново) — ეყრდნობა და მათ შეფასებებსა და ინფორმაციებს თითქმის ყოველთვის განსჯის გარეშე ღებულობს. მაგალითად: როდესაც ავტორი ქრისტიანულ-სლავური კულტურის ქმნადობის პროცესში ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერმონაზვნების დამსახურებებს ჩამოთვლის, მეტწილად ეპისკოპოს კირიონის მიერ 1910 წელს გამოცემულ ნაშრომს — „Культурная роль Иверии в истории Руси“ — იმონმებს (გვ. 28 და შ.). აქ ის, სხვათა შორის, ახსენებს ეპისკოპოს კირიონის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ გლაგოლიცა „ქართული საეკლესიო ანბანის“ გავლენით არის შექმნილი. რიგით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ ეს თითქოს საყოველთაოდ აღიარებული და გაზიარებული თეორიაა. თუკი ასეა, სამეცნიერო ნაშრომს ამის მკაფიოდ მითითება მოეთხოვება, ხოლო თუ ასე არ არის — სათანადო კომენტარი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მსგავს თეორიას სამეცნიერო ლიტერატურა, — არც ქართული და არც სლავური პალეოგრაფია, — არ იცნობს.

ფილიპ ამონი რუსულ საეკლესიო ოკუპაციასა და შესაბამის დანაშაულობებს ძირითადად ნიკოლოზ დურნოვოს ცნობების მიხედვით გადმოსცემს, ისე როგორც ბევრი სხვა ავტორი, რომელიც ამავე საკითხს ეხება. ამ ცნობების თანახმად კი რუსებმა საქართველოდან დიდძალი საეკლესიო ძვირფასეულობა გაზიდეს; ზოგი გაყიდეს და ზოგიც გაასაჩუქრეს (გვ. 158-163). მათ შორის დასახელებულია სახელგანთქმული ხატი — ხახულის ღვთისმშობელი, რომელიც თითქოს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა (Владимир Васильевич Левашов) გაიტაცა. რამდენადაც ცნობილია, ნიკოლოზ დურნოვოს რუსულ-მართლმადიდებლურ სინოდთან კონფლიქტური დამოკიდებულება ჰქონდა, რის გამოც მოცემულ და მსგავს საქმეებზე მსჯელობისას მისი ტენდენციურობა სავარაუდოა. ამიტომ მის ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციების შეუმონმებლად მიღება გაუმართლებელია, მით უმეტეს, რომ იქ წყარო, როგორც წესი, მითითებული არ არის და ამის გამოც ამ ინფორმაციების საფუძვლიანობა ბევრ შემთხვევაში საეჭვოა. და მართლაც: ქუთაისის საისტორიო არქივის დირექტორმა მერაბ კეზევაძემ დოკუმენტური მასალე-

ბის მეშვეობით დაადგინა, რომ ხსენებულ მოხელეს „ხახულის ღვთისმშობლის საქმესთან“ შეხება არა აქვს და არც შიძლება ჰქონდეს: იმ წელს, როდესაც ეს ხატი გელათის მონასტრიდან გაიტაცეს, ის საქართველოში ჩამოსული არ იყო. მეცნიერის შეფასებით, ეს გატაცება ჩვეულებრივი კრიმინალური აქტია და სხვა არაფერი (მერაბ კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს*, ქუთაისი, 2006, თავი 6, § 4: „გელათის მონასტრის 1859 წლის 19 მაისის გაძარცვა“, გვ. 168-184).

ავტორი რამდენიმე საეკლესიო და კულტურულ-ენობრივ კონფლიქტს ეხება. მათ შორისაა სისხლიანი დრამა, რომელიც 1886 წლის 25 (თუ 24) მაისს თბილისის სასულიერო სემინარიაში დატრიალდა, როდესაც სტუდენტმა იოსებ ლალიაშვილმა რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი (Павел Иванович Чудецкий), თავის სამუშაო კაბინეტში განგმირა. მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „ის [რექტორი] ქართულ ენას იმდენად ამცირებდა, რომ მას ‘ძალღების ენას’ უწოდებდა. (...) მის მოკვლასთან დაკავშირებით რუსმა ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა არნახული რეაქცია („unerhörte Schärfe“) გამოამჟღავნა. მან (...) მთელი ქართველი ერი საჯაროდ დაწყევლა („sprach öffentlich den Bannfluch über die gesamte georgische Nation aus“)(“ გვ. 94). ცნობა ხსენებული რექტორის მიერ ქართული ენის ასეთი შეურაცხყოფის თაობაზე ჩემთვის და, ვფიქრობ, სხვა მკვლევრისთვისაც უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ სიტყვები „მთელი ქართველი ერის საჯაროდ დაწყევლის“ შესახებ, რომელიც ეგზარქოსმა თითქოს რექტორის დაკრძალვის დღეს წარმოთქვა, იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ვრცელდებოდა, თუმცა საფლავზე წარმოთქმული ამ სიტყვის (ეპიტაფიის) ტექსტი, რომელიც „კავკაზში“ გამოქვეყნდა (შემოკლებით თარგმნილია ქართულად: კალისტრატე ცინცაძე, *ჩემი მოგონებებიდან*, თბილისი, 2001, გვ. 23-24), ასეთ პასაჟს არ შეიცავს. ამასთანავე არ მოიპოვება მეტ-ნაკლებად სანდო წყარო, ანუ ცნობილი არ არის ადამიანი, რომელიც დაადასტურებდა და იტყოდა, ჩემი ყურით მოვისმინე სიტყვები: „წყეული იყოს ქართველი ერი!“. თავად ეგზარქოსი, ცხადია, კატეგორიულად უარყოფდა ამ ბრალდებას; მის შესახებ მხოლოდ ხალხში მოარული ხმა ლაპარაკობდა. დიმიტრი ყიფიანიც კი, რომელსაც ავტორი იმონმებს, ხსენებული ბრალდების რეალურობაში დარწმუნებული არ იყო, რის გამოც ის ბრალდებულს ამ სიტყვებით მიმართავდა: „თუკი ეს სიტყვები თქვენ მართლა წარმოთქვით, დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ სამწყსო“. და მართლაც: მსგავსი საქციელი ფსიქიურად ჯანმრთელი ანუ სრულ ჭკუაზე მყოფი სამღვდელი პირისაგან წარმოუდგენელია. დაისმის კითხვა: იცნობს კი ეკლესიის ისტორია „მთელი ერის“ ასეთ დაწყევლას ანუ, რაც იგივეა, ანათემას? თუ არა (და ასეთ რამეს ისტორია ნამდვილად არ იცნობს), ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სასურველი

იქნებოდა სათანადო სამეცნიერო-თეოლოგიური ანალიზის ჩატარება. „მთელი ერის დანყევლა“ ეკლესიის ენაზე ნიშნავს ამ ერის (ნაციის) ეკლესიისაგან განკვეთას. ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი იყენებს გამოთქმას „Bannfluch“ ანუ, იგივე, „Kirchenbann“, რაც ეკლესიიდან გაძევებას (გარიცხვას, გასახლებას) ნიშნავს. თუკი ეგზარქოსმა ეპისკოპოსმა „მთელი ქართველი ნაცია“, ერიც და ბერიც, ეკლესიიდან გარიცხა (ცხადია, თავისი ჭკუით), სრულ აბსურდამდე მივალთ: ვილას ეპისკოპოსად მოიაზრებდა ის თავს საქართველოში? ის ხომ ქართველ მღვდლებთან და ეპისკოპოსებთან ერთად წირვა-ლოცვას ამ ამბების შემდეგაც განაგრძობდა?! მას ტაძარში, სხვათა შორის, მკვლელის თანაკურსელი (შემდეგში კათალიკოს-პატრიარქი და დღეს წმინდანად გამოცხადებული) კალისტრატე ცინცაძე ემსახურებოდა, რომელიც, ასევე, არ (თუ ვერ) ადასტურებს „ქართველი ერის დანყევლის“ შესახებ გავრცელებული ხმების ადეკვატურობას; ის წერს: „არ ვიცი, ითქვა თუ არა [ეგზარქოსის მიერ] ეს სიტყვები“ (იხ. მისივე აქ დამოწმებული ნაშრომი, გვ. 24). ამის მიუხედავად ფაქტია, რომ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ეს და მსგავსი გამონათქვამები ერთგვარი სიამოვნებითაც კი არის აღქმული როგორც უდავო ჭეშმარიტება, რაც ხელს უწყობს ზოგადი ანტირუსული ფონის გაძლიერებას. სწორედ ამის გამოც სასურველია, რომ ასეთი გამონათქვამები პუბლიკაციებში (მით უფრო სამეცნიეროში და სულაც ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში) გადმოიცეს აკრიბიულად — კონიუნქტივით და თურმეობითი კილოთი ანუ ისე, როგორც სინამდვილეა: ამბობდნენ, რომ მან თურმე ასე და ასე თქვა; მას თურმე ესა და ეს განუცხადებია.

საქართველოს ისტორიის მეორე ტრაგიკულ ფურცლად, განსახილველი თხზულების მიხედვით, კირიონ მეორის, — ამ ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ პირველი კათალიკოს-პატრიარქის და დღეს წმინდანად შერაცხილი ადამიანის, — აღსასრული წარმოგვიდგება. ფართო საზოგადოებისათვის იმთავითვე ცნობილი გახდა შემდეგი: უწმინდესი კირიონი, ეკლესიის საჭეთმპყრობლად არჩევიდან და აღსაყდრებიდან ცხრა თვის შემდეგ, 1918 წლის 27 ივნისის დილას, თავის საზაფხულო რეზიდენციაში, მარტყოფის მონასტერში, ტყვიით განგმირული იპოვეს. საძინებელი ოთახის კარი და ფანჯარა შიგნიდან დაკეტილი აღმოჩნდა, რევოლვერი კი გვამის გვერდით იდო.

დღემდე არ არსებობს სარწმუნო და იურიდიულად ჩამოყალიბებული პასუხი კითხვაზე: რა მოხდა იმ ღამით მარტყოფის მონასტერში — მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? თანამედროვე საქართველოში პოპულარობით პირველი ვერსია სარგებლობს, მეორეზე კი არავინ ლაპარაკობს. რაც შეეხება იმდროინდელ საპატრიარქოს, დასმულ კითხვაზე მას მკაფიო პასუხი არ ჩამოუ-

ყალიბებია, თუმცა თითქოს უფრო მეორე ვერსიისაკენ გადაიხარა; მრევლს სიმშვიდისაკენ მოუწოდა და დუმილი არჩია. მის პოზიციას ახმოვანებდა საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელი, იურისტი და პოლიტოლოგი, შემდეგში ემიგრანტი მღვდელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და კალმოსანი — რაფიელ ივანიცკი-ინგილო, როდესაც მისი უწმინდესობის დაკრძალვის დღეს გაურკვევლობაში მყოფ, დაბნეულსა და დაქსაქსულ საზოგადოებას ბარუხ სპინოზას სიტყვებით მიმართავდა: „Nec ridere, nec lacrimari, sed intelligere [არც იტიროთ, არც იცინოთ, არამედ გონებას მოუხმეთ]“ და დასძენდა: „მარტყოფის საიდუმლოება გამოუცნობელია! (...) საუკუნოებში წარხდომილმა უნეტარესმა კათალიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მისი სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილ მონასტრის საიდუმლოებასაც“ („საქართველო“, 1918, 7.VII, №132, გვ. 2). ეს არის და ეს: ოფიციალური განცხადება არც საპატრიარქო სინოდსა და არც საკათალიკოსო საბჭოს მხრიდან არ გაკეთებულა. ოპონენტებმა, ცხადია, თვითმკვლელობის ვერსიას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. მათი სათქმელი გამოხატულია ეგზარქატის ერთ-ერთი მაღალი ჩინოსნის, შემდეგომ რუსული ემიგრანტული ეკლესიის არქიმანდრიტის, სერაფიმ ვერბინის, სტატიის, resp. მემუარში, რომელიც გამოქვეყნებულია სათაურით „Русские священномученики и мученики в Грузии“ (ამ სტატიის ქართული თარგმანი ჩვენი კომენტარებითურთ: *კალისტრატე ცინცაძე 150*, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2017, გვ. 187-224). მასში უწმინდესი კირიონის, ისე როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის მიმართ უკიდურესად ნეგატიური განწყობილება დასტურდება, რის გამოც მისი თითოეული სიტყვა მკაცრ კრიტიკას საჭიროებს, თუმცა მართებული არც ყველაფრის ხელალებით უგულვებლყოფა იქნება. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში მკითხველი ისეთ კითხვებზეც კი ვერ იპოვის პასუხს, როგორიცაა: რა გააკეთა მაშინდელმა გამოძიებამ, რა მასალის შეგროვება მოახერხა მან და რამ შეუშალა დასკვნის გამოტანას ხელი?

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ავტორი მეორე, ანუ თვითმკვლელობის, ვერსიას არ იცნობს, რადგან მის შესახებ არაფერს ამბობს. მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „(...) 1918 წლის 17 (28) ივნისს საქართველოს საეკლესიო ავტოკეფალიის ავანგარდი („Vorkämpfer georgischer Autokephalie“) თბილისის მახლობლად, მარტყოფის მონასტერში, მოკლეს. მკვლელობის საფუძველი დღემდე გაურკვეველია“ (გვ. 196). ჩვენთვისაც გაურკვეველი და ამოუხსნელია: ვის უნდა ჩაედინა ეს აქტი და რის გამო? ამ პრობლემას ჩვენ ასევე შევეხეთ პროფ. სერგო ვარდოსანიძის ნაშრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში, რომელიც დაბეჭდილია ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალში „კადმოსი“ (5,

2013, გვ. 281-290), და აღვნიშნეთ: „(...) პატრიარქ კირიონის მკვლევლობის ვერსიის გამყარების მცდელობა ამ დიდი საეკლესიო, ეროვნული და კულტურული მოღვაწის წმინდანად შერაცხვის საფუძველი გახდა“ (გვ. 285). კანონიზაცია 2002 წლის 17 ოქტომბერს შედგა, რამაც საყოველთაო სიხარული გამოიწვია. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ წრეებში სწორედ ტერორის ვერსიაა პროპაგანდირებული და მის პოლიტიკურ და, კერძოდ, პანსლავურ მოტივში თითქოს არავის ეპარება ეჭვი. არსებობის უფლება, ცხადია, ორივე ვერსიას აქვს, თუმცა არცერთი მათგანი დღემდე სიღრმისეულად გაანალიზებული არ არის. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების მკვლევარი ორივე ვერსიას კრიტიკულად განიხილავს და კვალიფიციურ პასუხს გასცემს კითხვას: განეკუთვნება თუ არა მარტყოფის ტრაგედია რუსეთ-საქართველოს საეკლესიო კონფლიქტების სფეროს?

იმ ქართულ საეკლესიო ტრადიციებს შორის, რომლებიც ძალადობრივი რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად მოსპობილ იქნა, ავტორი „ძველ ქართულ ლიტურგიას“ ასახელებს. რუსებმა, მისი წარმოდგენით, საქართველოში „სლავური ლიტურგია“ („slawischen Ritus“) შემოიტანეს და „ძველი ქართული წირვა“ („altgeorgische Messe“) „საეკლესიო სლავური ლიტურგიით“ (durch die „kirchenslawische Liturgie“) შეცვალეს. მონოგრაფიაში, ამასთანავე, ვკითხულობთ: „საქართველოში ამ დრომდე (რუსების შემოსვლამდე, ნ. პ.) ჟამს სამი ძველი ქრისტიანული ლიტურგიით — იაკობის, ბასილისა და ოქროპირის ლიტურგიებით — სწირავდნენ ძველქართულად. როგორც კი სლავური წესი შემოიტანეს, იაკობის ლიტურგიით სარგებლობის პრაქტიკა მოისპო“ (გვ. 159). პირველ რიგში ასეთი კითხვა დაისმის: მაინც რას გულისხმობს აქ ცნება „სლავური წესი“ („slawischer Ritus“)? ასეთი წესი ქრისტიანული ლიტურგიის ისტორიაში ცნობილი არ არის; ცნობილია მხოლოდ წირვა-ლოცვის ბერძნულ-ბიზანტიური წესის (Τυπος-ის) ძველი სლავური რედაქცია (ტრადიცია), რომლის მიმართ „წესის“ გამოყენება გამართლებული არ არის. თავად ბერძნულ-ბიზანტიური წესი სამ ლიტურგიას მოიცავს: იოანე ოქროპირის, ბასილი კესარიაკაბადოკიელის და პაპ გრიგოლ დიდის („პირველშენიარულის“) ლიტურგიებს. ყველა ბერძნულ-ბიზანტიური ტრადიციის ეკლესია, მათ შორის სლავური, ქართული და ა. შ., საზოგადო ღვთისმსახურებაში აღნიშნულ ლიტურგიებს იყენებს. დეკანოზის, შემდგომში აკადემიკოსის, სასულიერო მწერლობისა და, განსაკუთრებით, ლიტურგიკის განხრით მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის — კორნელი კეკელიძის — მონუმენტური ნაშრომით „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение“ (თბილისი, 1908) გარკვეულია, რომ ღვთისმსახურების ბერძნულ-ბიზანტიური

ტიპიკონი საქართველოში მე-10 საუკუნის ბოლო წლებიდან შემოდის. მანამდე კი ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურება იერუსალიმის განჩინების ანუ ქრისტეს საფლავზე მე-5 საუკუნეში შემუშავებული განანესის ქართული ვერსიის მიხედვით სრულდებოდა (არსებობს ამ ვერსიის რუსული და ლათინური თარგმანები). აღნიშნული განჩინების ანუ, იგივე, ტიპიკონის თანახმად, საღვთო მსახურება იაკობისა და პეტრეს წირვების მიხედვით უნდა წარიმართოს. იაკობის წირვის ქართული ვერსია, რომლის ტექსტი ჩვენამდე მე-11 საუკუნის ხელნაწერებით არის მოღწეული, პირველად კორნელი კეკელიძემ შეისწავლა და გამოსცა: *Древне-грузинский Архидиакон*, Тифлис, 1912. ამ ვერსიის ტექსტი თარგმნილია რუსულ, ლათინურ და ინგლისურ ენებზე და თითოეული თარგმანი მეცნიერულადაა გამოცემული (იხ. სხვათა შორის: P. M. Tarchnishvili, *Eine neue georgische Jakobusliturgie*, in: „Ephemerides Liturgiae“, 62/1948). შესაბამისი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქართულ საეკლესიო სივრცეში მე-10 საუკუნის ბოლოს და მე-11 საუკუნის დასაწყისში ჩატარდა რეფორმა, რომლის შედეგად ღვთისმსახურების იერუსალიმური პრაქტიკა ბერძნულ-ბიზანტიურმა პრაქტიკამ ჩაანაცვლა. ეს ის დროა, როდესაც წარმოიქმნა საქართველოს ერთიანი სამეფო, რომლის საეკლესიო მსახურების უნიფიცირება სახელმწიფოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამდენად, აღნიშნულმა რეფორმამ იაკობისა და პეტრეს ლიტურგიების საეკლესიო ღვთისმსახურების ველიდან გაქრობა ბუნებრივად გამოიწვია და არცერთი მოციქულის ლიტურგიის ტექსტით საქართველოში ჟამი მე-11 საუკუნიდან აღარ იწირებოდა. ამიტომაც, რომ ეს ტექსტები მოგვიანო ხანის ხელნაწერებში აღარ დასტურდება. ასე რომ, რუსები „იაკობის ლიტურგიის ფუნქციონირებას“ („die Praxis der Jakobus-Liturgie“) ვერ აკრძალავდნენ, რადგან ეს ლიტურგია დავიწყებას ბუნებრივი დინებით რუსების კავკასიაში გამოჩენამდე დიდი ხნის წინ მიეცა და ქრისტიანული არქეოლოგიის (ფართო გაგებით) საკუთრებად იქცა.

ანონიმურად გამოცემული ბროშურა „*Судьбы Грузинской Церкви*“ (Москва, 1907), რომლის ავტორი უეჭველად არის ზემოთ ხსენებული ნიკოლოზ დურნოვო, ასეთ ინფორმაციასაც შეიცავს (გვ. 26): რუსების მიერ „ქართველი ბერები განდევნილი იქნენ (...) საფარის, ზარზმის, კაბენის, მამკოდის, დრანდის, სამების, ბიჭვინთის“ მონასტრებიდან (ქართული თარგმანი ზ. კახაბერიძისა: *ბედი ქართული ეკლესიისა*, თბილისი, 1997, გვ. 13). სარეცენზიო ნაშრომის იმ თავში, რომლის სათაურია „Der Tod des Lazarus [ლაზარეს სიკვდილი]“, ეს ინფორმაცია კომენტარის გარეშე არის მოცემული (გვ. 162), რაც მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ავტორს მისი რეალურობის სჯერა. დაისმის კითხვა: როგორ შეეძლოთ რუსებს, მაგალითად, ზარზმისა და საფარის მონასტრებიდან ბერების გაძევება, მაშინ როდესაც ეს მონასტრები, ისე როგორც სამც-

ხე-საათაბაგოს, აფხაზეთისა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის არა ერთი და ორი მონასტერი, რუსულ ოკუპაციამდე დიდი ხნით ადრე ბერმონაზვნებისაგან დაცლილი, წირვა-ლოცვისაგან დაქვრივებული და მეტწილად დანგრეული იყვნენ?! მიზეზი გასაგებია და ცხადი: ოსმალური და სპარსული ოკუპაცია რიგ სხვა ფაქტორთან ერთად. რასაც ღურნოვო და მისი სტილის მკვლევრები ამ საგანზე წერენ და ამბობენ, სხვა არაფერია, თუ არა ანაქრონიზმი და საფუძველს მოკლებული გამონათქვამი, რომლის სერიოზულად აღქმა შეუძლებელია.

რამდენიმე შენიშვნა კათალიკოს ამბროსი ხელაიასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს შეეხება. სარეცენზიო ნაშრომი, ისე როგორც ბევრი სხვა ნაშრომი, იმეორებს ზეპირგადმოცემას იმის შესახებ, რომ ბრალდებულმა კათალიკოსმა სასამართლო პროცესზე თითქოს წარმოთქვა საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები: „ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს (...)“. შემონახულია აღნიშნული პროცესის აღწერა და ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ტექსტი, საიდანაც ირკვევა, რომ მან შინაარსობრივად ზეპირგადმოცემის მსგავსი სიტყვა მართლაც წარმოთქვა. იმის შესახებ, თუ როგორ გაფორმდა ეს სიტყვა კოლექტივის მეხსიერებაში იმ ფორმულად, რომელიც ცნობილი და პოპულარულია, ჩვენი აზრი ჩამოყალიბებული გვაქვს ნაშრომში „კალისტრატე ცინცაძე სარწმუნოების, მოქალაქეობისა და კულტურის შესახებ“ (იხ.: კალისტრატე ცინცაძე, *ქადაგებები და სიტყვები*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბილისი, 2014, გვ. 280-281), რომლის გათვალისწინება, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა. ფილიპ ამონის მიხედვით კათალიკოსი ამბროსი „1927 წელს საპყრობილეში გარდაიცვალა“ (გვ. 210), რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ვიცით (და არაფერია საეჭვო), რომ უწმინდესი ამბროსი თავის რეზიდენციაში გარდაიცვალა. ეს ეპიზოდი თითქმის დეტალურად აქვს აღწერილი მის თანამოსაყდრეს მიტრ. (შემდგ.: კათალიკოს-პატრიარქ) კალისტრატე ცინცაძეს ნაშრომში „მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან“. მასში ვკითხულობთ: საქართველოს ეკლესიის „დროებითა მმართველობამ“ დადგენილება კათალიკოს-პატრიარქის „საქმეთა წარმოებისაგან“ „განთავისუფლების“ შესახებ მის უწმინდესობას 1927 წლის 23 მარტს გამოუცხადა. „ამ გამოცხადების მეორე დღეს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ დაჰკარგა ენის ხმარების შესაძლებლობა (მარტის 25), მარტის 27 გონებაც, ხოლო მარტის 29 დილის სამ საათზე კი განუტევა სული“ („მწიგნობრობა ქართული“, 9, თბილისი, 2010, გვ. 473-474). აღნიშნული მემუარიდანაც ჩანს, რომ ეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მაშინდელ რეზიდენციაში მოხდა.

ყველა შენიშვნას, რაც მონიშნული მაქვს, ამ ფორმატში ვერ განვიხილავ. მათი უმრავლესობა ფაქტებისა და მოვლენების ჩემს პირად აღქმასა და შეფასებას გამოხატავს, რაც ზოგჯერ ჩვენი ავტორის შეხედულებებს არ ეთანხმება. მაგალითად: ის დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მონყობილი შეიარაღებული ამბოხება ინსპირირებული იყო რუსეთის მიერ (გვ. 7). ეს, ცხადია, მოარული და პოპულარული აზრია, უფრო სწორად, — რწმენა. მე არ ვიცი, რამდენად ადეკვატურია ეს რწმენა, მაგრამ უდავოა, რომ მსგავს შემთხვევაში ალბათ სასურველი უნდა იყოს დამატებითი არგუმენტების თუ განმარტებების წარმოდგენა.

ეს შენიშვნები ანუ მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ მონოგრაფიის ზოგიერთი ადგილი დაზუსტებას საჭიროებს. ეჭვი არაა, რომ კონფლიქტების სარწმუნო და სარგებლის მომტანი ისტორიის შედგენა შესაძლებელია მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების ადეკვატური აღქმა-წარმოჩენის შედეგად. რელიგიური თემატიკა ამ ისტორიის ყველაზე მგრძნობიარე ასპექტად გამოიყურება, რის გამოც ყურადღება განსაკუთრებით ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე გავამახვილეთ. ცხადია, მაგალითების რიცხვის გაზრდა შეგვეძლო, მაგრამ ამის საშუალებას სარეცენზიო რეგლამენტი არ გვაძლევს და აუცილებლობასაც ვერ ვხედავთ. სხვა შენიშვნებს ავტორს პირადად მოვახსენებ, თუკი საშუალება მომეცემა და მას სურვილი ექნება.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ ფილიპ ამონის მონოგრაფიის მნიშვნელობა დიდია როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისითაც. მასში თავმოყრილია უამრავი ისტორიული დოკუმენტი, ცნობა და ბიბლიოგრაფიული მითითება, რაც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებს დიდ სამსახურს გაუნევს. ამის გამო ამ ნაშრომის მესამე, გადამუშავებული და დაზუსტებული ვერსიის მომზადება, მისი ქართულ-რუსულ ენებზე თარგმნა და დროულად გამოცემა სასურველ და სასარგებლო საქმედ წარმოგვიდგება.